12/12/2020

ალექსანდრიის პატრიარქი პილუსიის განსვენებულ მიტროპოლიტ ნიფონს დაემშვიდობა

2020 წლის 11 – დეკემბერს დაკრძალეს ალექსანდრიის საპატრიარქოს მღვდელმთავარი, პილუსიის მიტროპოლიტი ნიფონი.

დაკრძალვაზე მიბრძანდა უნეტარესი პაპი და პატრიარქი ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის თეოდორე მეორე, რომელმაც განსვენებული მღვდელმთავრის სულის მოსახსენებლად ღვთისმსახურება აღავლინა და გამოემშვიდობა მას.

პილუსიის მიტროპოლიტი ნიფონი მიმდინარე წლის 8 დეკემბერს, 61 წლის ასაკში, გულის შეტევით გარდაიცვალა.

საუკუნოდ იყოს ხსენება და კურთხევა მისი.

— wenews.ge